ეკონომიკური ზრდის ტემპი

IV კვარტალი, 2021 წელი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის IV კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 7.4% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა განპირობებულია 2021 წლის განმავლობაში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობით და ე.წ. 2020 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკის შემცირების საბაზისო ეფექტით (2020 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა შემცირდა 7.4%-ით), რომელიც COVID-19 პანდემიით იქნა გამოწვეული, თუმცა 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით დაბალი ზრდის ტემპი განპირობებულია IV კვარტალში COVID-19 პანდემიის გაუარესებული მდგომარეობით. ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობის და სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების არსებობის პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ტემპის გამოცოცხლებაც.

აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით:

⇒ ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 3.8-ჯერ გაიზრდება**, (2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 3.2-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **უმნიშვნელოდ გაიზრდება ქვეყნიდან გასული ტურისტების რიცხოვნობაც**.

⇒ ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.

⇒ **გაიზრდება როგორც კერძო, ისე მთავრობის მოხმარების მოცულობა,** რაც განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს 50%-იან ალბათობას, რომ მშპ-ის ზრდის ტემპი მოცემულ ზღვრებს შორის იქნება.

⇒ მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
⇒ გაზრდილი მოხმარების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
⇒ გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე იმპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი 1.3%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 6.1%-ული პუნქტით განაპირობებს*.



*2021 წლის IV კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია:

- [წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები]
- [განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ]